ორი ფინალისტის მატჩი

დონის როსტოვი. არმიის სპორტკლუბის სტადიონი. 5 მაისი.

ასკ (როსტოვი) – ”დინამო” (თბილისი) 1:1 (0:0).

ასკ: ჩისტიაკოვი, პოპანდოპულო (გონჩაროვი) იაშინი, კურიატნიკოვი, ზუევი, გუსევი, რომანჩუკი, ბოსტანჯანი, ზავაროვი, გამულა (ბარკეტოვი), ვორობიოვი.

”დინამო”: გაბელია, კოსტავა, ხიზანიშვილი, ხინჩაგაშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე (კაკილაშვილი), სულაქველიძე, გუცაევი (ჩელებაძე), ჟვანია, შენგელია.

მსაჯი: მ. სტუპარი (ივანო-ფრანკოვსკი).

დუბლიორები - 0:2.

ორივე გუნდს უკიდურესად საპასუხისმგებლო მატჩები აქვს წინ: თასების გათამაშების ფინალები. თბილისელებს - ევროპული მასშტაბით, როსტოველებს - საკავშირო, ამ დღეს კი ორივე მხარეს აკლდა ნაკრებში წარგზავნილი წამყვანი ფეხბურთელები - ჩივაძე, ყიფიანი (”დინამო”), ანდრეევი, ანდრიუშჩენკო (ასკ). ალბათ, ამიტომაც იყო, რომ მატჩის პირველი ნახევარი არ გამოირჩეოდა მაღალი ტემპით, დაძაბული მომენტებით. რამდენადმე მაინც ხელშესახებ უპირატესობას ვერ მიაღწიეს ვერც მასპინძლებმა, ვერც სტუმრებმა. გაბელიამ მოიგერია ზავაროვის, ვორობიოვის დარტყმები, კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ დარასელიას, სულაქველიძეს.

35-ე წუთზე გუსევმა და ვორობიოვმა მარჯვენა ფლანგზე გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია, ამ უკანასკნელის ძლიერი დარტყმა მოხვდა ძელს.

გაცილებით უფრო საინტერესოდ, დაძაბულად წარიმართა მატჩის მეორე ნახევარი, მოიმატა ტემპმა, ხან ერთ, ხან მეორე კართან იქმნებოდა კრიტიკული სიტუაციები.

შუა ტაიმში ინიციატივა ხელთ აიღეს როსტოველებმა. მე-60 წუთზე დინამოელებმა ვერ შეძლეს მეტოქის იერიშის მოგერიება და ბოსტანჯანმა გახსნა ანგარიში - 1:0.

თბილისელებმა მარცხს ძლიერი შეტევებით უპასუხეს, ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა შეექმნათ სულაქველიძეს, დარასელიას, ჟვანიას, შენგელიას. ბოლოს, 79-ე წუთზე კაკილაშვილმა ისარგებლა მასპინძელთა კართან შექმნილი მომენტით და გაათანაბრა ანგარიში - 1:1.

რ. ქორიძე.

”ლელო”, 6 მაისი 1981 წ.